„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის-[illegible]ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დაახქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოესპოთ.

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ჩვენის გაზეთის მე-137 №-ში გადმობეჭდილია «Нов. Обозр.»-ს ცნობა მასზედ, რომ ბალუსტოვის მცირე წლოვანის ქალის გამაპატიურებელმა და შემდეგ მკვლელმა ჯავახოვმა განაცხადაო, რომ ჩემს დანაშაულობაში დედა-ჩემსაც აქვს წილიო. ეს საქმე ისეთი ზარ-დამცემი რამ არის, რომ «მეგაზეთე» ხშირად ვერ აძლევს ანგარიშს თავის-თავს და ერთხელ გაგონილს ამბავს, რომელიც-კი შეეხება ამ გარემოებას, გაუქრელ-გაუზომელად მოაქცევს გაზეთში. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. საბრალო დედას ულირსის შვილისას საშინელი ბრალი დასდეს. დღეს ნამდვილის წყაროდამ აღმოჩნდება, რომ სიბრალულ დედა-კაცი სულითა და ხორცით წმინდაა შვილის დანაშაულობისაგან. პირ-იქით იგი იძლევა საყურადღებო ჩვენებას და მისი ერთად-ერთი წადილია, რომ ბედ-შავი შვილი სახრჩობელაზედ იხილოს...

⊖⊖⊖ ყარსში ჩასულა კიდეც იტალიელი გამოჩენილი მხატვარი რუბო, რომელსაც შეკვეთილი აქვს თბილისის სამხედრო მუზეუმისათვის დაამზადოს სურათნი რუს-ოსმალოს გასულის ომიანობიდამ. მხატვარს რუბოს თან ახლავს ორი სხვა ახალ-გაზდა მხატვარიო—ერთი სერბიელი და მეორე ქართველი—ბიგო ბაბაშვილი.

⊖⊖⊖ სოფ. პაკიდამ (ზაქათ. მაზრ.) გვწერენ: «გასულის ივნისის 18-ს აქ ატყდა ძლიერი ქარი და ამას მოჰყვა წვიმა და მსხვილი სეტყვა. პაკის ბოლოში იმდენი სეტყვა მოვიდა, რომ ნახევარი საათის შემდეგ ისევ აქა-იქ მოჩანდა დაუმდნარი. სეტყვამ დააზარალა ვენახები, ყანები და ბოსტნეულობა. ქარმა ხეები დაამტვრია და ზოგიერთგან სახლების სახურავები წაგლიჯა. საზოგადოდ წლეულს საინგილოში მოსავლის პირი კარგი იყო; ალაზნის მარცხენა პირიდგან (მულანლოს ხიდიდამ) მოკიდებული იწყობა საინგილო და, აი, ეს სივრცე შემოსილია მშვენიერის ყანებით. აქაურს ნიადაგს არც მაისში დაჰკლებია წვიმა. ეს არის მიზეზი, რომ მრავალი ქიზიყელები მოაწყდენ საინგილოს და ზოგი მომკლობით, ზოგი სხვა მუშაობით იძენენ საზრდოს. პური აქ მეტად იაფი იყო აქამდის; ადგილობრივი თალარი ($7^{1}/_{2}$ ფუთი) ღირდა 3 მ. და ეხლა 6 მანათამდის აიწია. რადგან აქაურ ყანებს კარგი გასავალი არა ეტყობათ, ამბობენ, თალარი მეორე მოსავლამდის 20-25 მ. აიწევსო. დაუსეტყვავს ვენახებს კარგი პირი უჩანს. ღვინო ძვირად იყიდება. თალარი (30 ჩაფი) 15 მანათამდის. ფასობს პარკი (აბრეშუმის) უხვად მოვიდა. ჰკლავ თუ ერთს-ორს მოუვიდოდა, წლეულს-კი ყველას საშუალო რიცხვით მოუვიდა 6-7 ფუთი. რადგან ადგილობრივი ვაჭრობა დამხობილია და ფულის ქესატობაა, ყველაფერი იაფად ისყიდება. ფუთი პარკი ადგილობრივ ფასობს 8—$8^{1}/_{2}$ მ.

⊖⊖⊖ საინგილოდამვე გვწერენ: «აქამდის ინგილოები, როგორც 200 წლის ყმანი ელისუს სულთანისა, ძალიან დაჩაგრულნი და შევიწროებულნი იყვნენ მაჰმადიანთაგან. სასიხარულოდ ამ ჟამად პაკის ნაწილის უფროსი სცდილობს—ინგილონი გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდამ. სხვათა შორის, მას ბრძანება გაუცია, რომ ინგილონი ამიერიდამ აღარ იწოდებოდენ მაჰმადიანურ სახელებით, როგორც აქამდე იყო, და იარონ ხოლმე ეკლესიაში. სასოფლო ბარათნი და ბრძანებანი აქამდის იწერებოდენ თათრულად და ახლა-კი ქართულად. პკვირაობითაც ხსენებული უფროსი ასწავლის პაკის სკოლაში კურს შესრულებულ ყრმათა.

⊖⊖⊖ საინგილოს ზოგიერთ სოფლებს მოსდებია ყვავილი, საქონლის ჭირი და სიცხეც ხელს უწყობს ამ სენთა გაძლიერებასაო.

⊖⊖⊖ ყაჩაღ ჰაირიმას (ქერიმს) ყარსელებიც დაუშინებია. ეს ყაჩაღიო, როგორც გვწერს ჩვენი კორესპ., ამ ჟამად, ამბობენ, ბუმბრის მახლობლად იმყოფებაო თავისის ამალით და საწყალი გუმბრელები, შებინდდება თუ არა,—კარზე ველარ გამოსულანო.

⊖⊖⊖ ინგლისურს გაზ. „Standard“-ს სწერენ ვენიდამ, რომ რუსის მმართებლობა დაჰკვეთხა სპარსეთისას თბილისიდამ თეირანამდე რკინის გზის გაყვანის

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის განყოფილება

### ძველ სენაკში

(დასასრული *)

გარეგანს, კლასს გარე დისციპლინას რაც შეეხება, ამ მხრით აქაური სკოლა უფრო მაღლა სდგას ქალაქისაზე, ამას რაღა დამტკიცება უნდა. ქალაქის სკოლას ყოველის მხრით ადგას უზნეობის ტალღა. სკოლაში მიმავალი ყმაწვილი თავის სადგომის კარებიდამ სკოლამდის ღმერთის გინებიდამ დაწყობილი ცხოველთ გინებამდის ყოველ-გვარს ლანძღვა-გინებას გაიგონებს. სკოლაში მივა და აქ მისი ამხანაგი ათი იმოდენს დაახვედრებს. აგერ მდიდარი ჩინოვნიკის ან ვაჭრის შვილს თეთრი პური და ყველი უძევს ჩანთაში; მეორე, სოფლის აზნაურშვილი, რომელიც ღარიბ ქვრივ დედა-კაცთან დაუყენებიათ, კლასში წამოსაღები თეთრი პური და ყველი კი არა, მესამე საათზე სახლში რომ მივა, მაშინაც ძლივს იშოვის მესამე «სორტის» თორნის პურს. აი, ეგ «მეორე», კბილზე ცვარ-მორეული, შესცქერის პირველს, ეალერსება, ფიცულობს, ატყუილებს, უნდა რომ დასცინცლოს ხელიდამ პურის ნატეხი, ზოგჯერ ყარანდაშს და რვეულსაც მისცემს ხოლმე და ამას ვინ იცის, რა შედეგი მოსდევს! სიცრუე, ამხანაგის მოტყუილება, საჭირო სასწავლო ნივთის ლუკმა პურში გასყიდვა, მასწავლებელისაგან დასჯა და სხვანი. ვინ მოსთვლის, რამდენი ამ გვარი საცდური აქვს მიკერემული ქალაქის სკოლას და სოფლის სკოლა კი ამ გვარებისაგან დაცულია.

მაგრამ სოფლის სკოლის ნაკლზედაც უნდა შევჩერდეთ: მაგალითად ჩვენი სკოლის ყმაწვილები ძველი სენაკის გლეხთა და აზნაურთა ოჯახებში დგანან. ამათ ოჯახებში ხორცეულებას ძვირად ხმარობენ, რადგანაც ხორცი აქ ძლიერ ძვირობს. უმეტეს ნაწილად მჭადსა და ლობიოს და ყველ-ლომსა ეტანებიან; ღვინოს სრულიად ვერ იშოვის კაცი, ორ-სამ ოჯახს გარდა. ეს გარემოება, მე მგონი, ბევრად ავნებს ყმაწვილთა ფიზიკურ სიმრთელეს, თუმცა-ღა ამას ჩვენ არაფრად ვაგდებთ იმიტომ, რომ ყმაწვილობაში, ვიდრე მოზარდია, ვერაფერს ვამჩნევთ, მაგრამ ამას ძლიერ ცუდი შედეგი აქვს მომავალში. ეს ყველასა გვაქვს ჩვენს თავზე გამოცდილი. ქალაქ-ადგილას ყმაწვილი ყოველ-დღე თუ არა, დღე-გამოშვებით მაინც იშოვის ხორცს. მაგრამ სამაგიეროდ ჰაერი აკლია ქალაქის შეგირდს და არ ვიცი, რომელს მიეცემა უპირატესობა—ჰაერს, თუ რიგიანს საჭმელს?

სახლის-პატრონები ძლიერ ემოროჩილებიან ჩვენს დარიგებას, მართალი რომ სთქვას კაცმა. როცა ყმაწვილი ავად ხდება, ან ზარმაცობით სკოლაში არ მოდის, სახლის-პატრონები გვაცნობებენ ხოლმე და ჩვენც შესაფერს ზომებს ვხმარობთ. ავადმყოფობა ამ წლობით იშვიათი იყო. მართალია ორი მოგვიკვდა, მაგრამ ისიც უეცარი შემთხვევით: ერთი თავისივე დედ-მამის სახლში გაციებით და მეორე სხვის სახლში ყვავილით. კლასს იშვიათად, ძლიერ იშვიათად აკლდებოდენ ავადმყოფობისაგამო. ექიმის მოყვანის შემთხვევა არა გვქონია. მხოლოდ ამ ბოლოს დროს წითელამ იჩინა თავი აქა-იქ და ეგზამენიც დაგვაჩქარებინა.

ორიოდე სიტყვა ეგზამენზედაც.

ეგზამენი 24-ს, 25 და 27 მაისსა გვქონდა ორივე განყოფილებაში. ამ ს შესახებ ცნობა გაეგზავნა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობას და წინადადება მიეცათ მათ, თუ საჭიროდ დაინახავდენ, ხსენებულ კომიტეტის და მმართველობის წევრთაგანი გამოეგზავნათ ეგზამენზე დასასწრებად, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით, არც ერთისაგან არ მოგვსვლია დამსწრე. ეს ან იმითი უნდა ავხსნათ, რომ ჩვენ საიმედოდ მივაჩნდით—კომიტეტ-გამგეობას და «რევიზიობა» აღარ ისაჭიროეს სკოლისათვის, ანა-და რომელიმე წევრთაგანი არ აღმოჩნდა იმოდენად თავისუფალი, რომ სკოლის დასახედავად წამოსულიყო, თუმცა-ღა საზოგადოების თვალში მათს მოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

*) იხილე „დროება“ № 137.

თაობაზედ რუსის საზოგადოებისაგან. რუსეთისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდაო კასპიის ზღვის გასწვრივ ბაქოსა და რეშტზე გზის გაყვანაო, მაგრამ სპარსეთის მმართებლობა არა სთანხმდება ამაზედ. იგი ითხოვს, რომ გზა პირდა-პირ თბილისით თეირანზე იქმნეს გაყვანილი, რადგან, თუ კინიცობაა ომი ასტყდა რუსეთისა და სპარსეთის შორის, მაშინ ამ უკანასკნელის მმართებლობის კანტროლის ქვეშ იქმნება თბილისიდამ თეირანზე გაყვანილი გზა; კასპიის ზღვის დასწვრივ გაყვანილს გზას-კი ომის დროს დამცველად ამ ზღვის რუსს სამარი გემები აღმოუჩნდებიანო.

---

## „დროების“ კორესპონდენცია

**ფოთი**, ივნისის 28-ს. ივლისის ხუთს ჩვენ მოველით რუსეთის ნაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოების დირექტორს, რომელსაც განუზრახავს ფოთის ნავთსადგურის საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის საშუალებანი გაიცნოს და შეისწავლოს ის წესები, რომლითაც მენაოსნენი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ.

ფოთში რუსეთის ნაოსნობის ამხანაგობის ხომალდი კვირაში მხოლოდ ერთხელ მოდის ხოლმე, მაშინ როდესაც სხვა ადგილებში, სოფლების პირადაც კვირაში სამჯერ მიდის. ფოთი სავაჭრო ქალაქია, დიდ-ძალი საქონელი და ხალხი გროვდება აქ და სწორედ საკვირველია, რომ ხსენებულს საზოგადოებას დღემდის უყურადღებოდ დაუგდია.

საზოგადოების ეხლანდელ დირექტორის წინად მყოფ მმართველის ჩიხაჩოვის ბძანებით მათმა გემებმა ფოთში სიარული თითქმის სრულიად მოსპო და ამ ქალაქის საქონელი სამზღვარგარეთელ მენაოსნეთ დარჩა. ბ-ნი ჩიხაჩოვის განკარგულების მოხდენა იყო შედეგი იმ ყრთის პირის მოქმედებისა, რომელიც ბათუმში ადგილს მოელოდა და ყოველის ღონისძიებით სცდილობდა ფოთის მნიშვნელობა დაემცირებინა და მთავრობა დაერწმუნებინა, რომ ფოთი სასარგებლო ნავთსადგურად თავის დღეში ვერ გაკეთდებაო. ეხლა თითქმის ყველანი ამის წინაალმდეგსა ჰფიქრობენ და აშკარად ჰხედვენ ფოთის სასარგებლო მდებარეობას.

ფოთის საზოგადოებისთვის აუცილებელი საჭიროება ეხლავე შეგროვდენ, მოილაპარაკონ თავიანთ საჭიროებაზედ და ახალ დირექტორს ყოველაფერი დაწვრილებით შეატყობინონ. ამ გვარად ისინი ორ-გვარს სარგებლობას მოიტანენ: ერთი რომ თავიანთ ბედ-იღბალზედ მზრუნველობას სხვა-და-სხვა ფოთში შემთხვევით ჩამოვარდნილებს არ ჩაუგდებენ ხელთ, — ახლად დანიშნულს საზოგადოების დირექტორს შრომას გაუადვილებენ, საშუალებას მისცემენ ყველაფერი სამართლით გაიგოს და ისე რიგად მოაწყოს საქმე, რომ ყველა დააკმაყოფილოს.

გამოფხიზლება გვჭირია... ფოთელებს თითქოს სიმუნჯე დასჩემდათ: ორს სიტყვას ვერ მოახერხებენ რა წამს ვინმე ძალოვანს დაინახავენ; მის წინაშე ხმა ჩაწყვეტილნი გამოიჭიმებიან და ბოლოს, როცა პირში ჩალა გამოსმული დარჩებიან, მაშინ მოჰყვებიან ოხვრას, მაგრამ გვიანღა არის ხოლმე.

ბ. კ,

---

## სხვა და სხვა ამბავი.

**უბედურების წინასწარმეტყველი.** პარიჟში სცხოვრობს კაცი გვარად დელონე, რომლის წინასწარმეტყველებანიც, სამწუხაროდ დღევანდლამდის ნამდვილად სრულდებიან. მისი წინასწარმეტყველების საგანი მიწის ძვრაა. 1887 წ. მან იწინასწარმეტყველა: ეს წელიწადი ისე არ გავა, რომ დიდი მიწის ძვრა არ მოხდესო და მართლაც სამხრეთ ამერიკაში საშინლად შეიძრა მიწა. 1883 წ. მან კვალად იწინასწარმეტყველა მიწის ძვრის შესახებ და მალეც ასრულდა: ინდოეთის არქიპელაგზედ ისეთი მიწის გრგვინვა მოხდა, რომ ათასობით დაიხოცა კაცები და რამდენიმე ათასი ვერსი ხმელეთი ზღვამ შთანთქა. გასულს წელს ბ-მა დელონემ კვალად გაგვაფრთხილა და ისპანიაში მიწის ძვრამ დაგვიმტკიცა, რამდენადაც მართალი იყო მისი გაფრთხილება. ეხლა დელონე კიდევ ამბობს, რომ 1886 წ. საშინელი მიწის ძვრა იქნებაო. თუმცა ერთის მხრით სასურველი არ არის, რომ დელონეს წინასწარმეტყველება გამართლდეს, მაგრამ მეორეს მხრით კი სასურველია მისი ცოდნა ამ საქმის შესახებ იქამდის განვითარდეს, რომ მას შეეძლოს დაჭეშმარიტებით გვაცნობოს არა მარტო დრო მიწის ძვრისა, არამედ ადგილიც სადაც ეს უბედურება მოხდება.

**ჭირისუფალი.** ამ ხანებში ვარშავის ქუჩებზედ მიჰქონდათ ცხედარი ზალდახინით, რომელშიაც წყვილი ცხენი ება, გვერდთ სანთელ-ანთებული ოთხი კაცი მისდევდა, ზალდახინის უკან კი მოდიოდა მხოლოდ ერთი შავი ძაღლი კუდ დაშვებული და ყურებ ჩამოყრილი. ცნობის მოყვარენი კითხულობდნენ ცხედრის ვინაობას და გამოდგა, რომ იგი უცოლშვილო მოხუცი კაცი იყო, რომელსაც ნათესაობა სრულიად არა ჰყოლოდა და მასთან მხოლოდ ერთი ეს ძაღლი ცხოვრობდა.

**გულგრილი თავის-მკვლელი.** ამას წინად მაინცში ექიმმა კუპფერბერგმა მოიკლა თავი და საკვირველად გულ-გრილად მიეგება სიკვდილს. თავის მეგობარს გამოსამშვიდობებელი წერილი მისწერა: „მაჯა 60-ჯერ კიდევ მიცემს — სწერდა იგი; მაშასადამე ერთი წამს სიცოცხლე კიდევ დამრჩენია. სიკვდილი ძალიან ადვილი ყოფილა და „სხვებს“ კი საშინელი რამა ჰგონიათ“. ამ სიტყვების შემდეგ ექიმმა კუპფერბერგმა სიკვდილამდის მხოლოდ ისღა მოასწრო, რომ წერილი კანვერტში ჩასდო და დაბეჭდა.

---

**სიტყვა მოსწრებული სალდათი.** ერთხელ ბისმარკი შეეყარა პირ-გასისხლიანებულს სალდათს, რომელიც ის იყო ომში დაეჭრათ.

— შენ რომელი დუქნიდამ მოდიხარ? — ჰკითხა ბისმარკმა სალდათს.

იმ დუქნიდამ, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ გახსნა და სახელად „გერმანია“ ჰქვიან, — მიუგო სიტყვა მოსწრებულმა სალდათმა.

**ექიმის რჩევა.** ერთმა ექიმმა ბეჭდვით გამოაცხადა, რომ ვისაც ცხვირის სიწითლე აქვს ისეთს წამალს მივცემ ორ-მანათად, რომ მაშინვე მოშორდესო. რომელღაც პატივცემულ კაცს, რომელიც არყისა და ამ გვარი მაგარი სასმელების მუშტარი ყოფილიყო, გაეგზავნა ექიმისათვის საჭირო ფული და მალე ასეთი მოკლე პასუხი მიეღო: „სვი იქამდის, სანამ არ გაგიმწვანდეს“.

**ბეციანობის გაძლიერება სასწავლებელში.** ამას წინად გერმანიაში სასწავლებელთა დირექტორებს კრება ჰქონდათ და სხვათა შორის ბეციანობის შესახებაც ჰქონდათ ლაპარაკი. როგორც კრებამ გამოიკვლია, უპირველესი მიზეზი ბეციანობისა სახელმძღვანელო წიგნების ცუდი ასოებით დაბეჭვდა არის; ამისათვის კრებამ გამოაცხადა სურვილი, რომ სახალხო განათლების მინისტრმა დაადგინოს წესები სახელმძღვანელოთა ბეჭდვის (სტრიქონები რა სიშორეზედ უნდა იყვნენ, რა სიდიდის ასოები და სხვა) და ქაღალდის ღირსების შესახებ, და რომ ახალი და ძველი სახელმძღვანელოების

---

აქაური საზოგადოებისაგან ერთი საუკეთესო განათლებული, სკოლისადმი თანამგრძნობი პირი — თავადი ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანი იყო მოწვეული მეორე განყოფილების ეგზამენზე. ამათ და ჩვენ ერთად შევადგინეთ ქართულში წერილობითი ეგზამენის მასალად შემდეგი ფრაზები: ძროხა იწველება. თბილისი საქართველოს დედა-ქალაქია. არწივმა ყურდღელი მოიტაცა, მთაზედ აიტანა და შესჭამა. ვახტანგმა, დავითმა და თამარმა საქართველო გააძლიერეს. ივანემ უთხრა პეტრეს: «ხვალ უქმე ხომ არ არის? შეგირდებს ამ წინადადებათა შორის კანონიერად უნდა ეხმარათ სასვენებელი ნიშნები. რეზულტატი ასეთი გამოვიდა: ოცდა-ცხრამეტი ყმაწვილისაგან 11-მა ხუთი (5) მიიღეს, 16-მა ოთხი (4) და დანარჩენმა 12-მა სამი (3) ზეპირ-სიტყვიერს ეგზემენში 5-იანები ნახევრობით გამოდგა; ბალლებს თვით ნიკოლოზ დადიანი უნიშნავდა. თვალსაჩინო სწავლაში წერილობითი ეგზემენი არა გვქონია, თუმცა-ღა დაფაზე ვახატვინებდით ხან-დახან ზოგიერთა საკლასო ნივთების პლანებს, ჰორიზონტის სახეს და ქვეყნის უმთავრეს და მეორე ხარისხოვან მხარეთა. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება. ბატონი გოგებაშვილის «საყმაწვილო კონამ» ძლიერ დიდი სამსახური გაგვიწია მით, რომ მის შემწეობით ბევრი ცნობა შეიძინეს მოსწავლეებმა და ენის რეალური მხარეც გაძლიერდა სკოლაში. ხაზ-გასმულ სიტყვას გადმოთარგმნა ეჭირება. დაბალს განყოფილებებში, როცა ნორჩს გონებას გულის ყური რეალური საგნებისკენ აქვს მიპყრობილი, როცა მისთვის ყოველი განყენებული (отвлеченное) ბუნდია, აი, ამ დროს არის საჭირო, რომ მარტივსა და ნაცნობ საგნებზე, ანუ შორეულზე, მაგრამ ყმაწვილის გონებისათვის შესაფერზე ელაპარაკო, ამ საგნებზე საუბარი, როგორი ენითაც უნდა ელაპარაკო მას, უთუოდ თავისას იქმს: ცოდნას მისცემს ყმაწვილს და ცოდნასთან ენასაც შეუმუშავებს, რადგანაც არც ერთი სახელმძღვანელო არ მოითხოვს, რომ მაინც და მაინც იმ წყობაზე აანი ფრაზები, როგორიც შემადგენელს ან გამომცემს დაულაგებიათ. წინაალმდეგს შემთხვევაში, ესე იგი როცა ენის სიმშვენიერისათვის ლექსების და ზღაპრების ზეპირობას გამოუდგებიან, თუნდ აკაკის ენით ელაპარაკო ყმაწვილს, მას რეალური ენა კი არ ექმნება, არამედ ცარიელი და უსაგნო ფრაზების რახა-რუხი ეცოდინება. ბ. გოგებაშვილი ამისთვისაა წამებული რომ კორფის და ვოდოვოზოვისა არ იყოს, ელემენტარულ სახელმძღვანელოში რეალური და თვალ საჩინო ელემენტი უნდა რომ შეიტანოს და გააძლიეროს. ეს რომ ძნელი საქმეა, ჯერ არა სჯერათ ზოგიერთებს. კორფის და უშინსკის ენა ორივე რუსული, მოსკოვის ენაა, მაგრამ თვით მოსკოველი ბავშვი «როდნოე სლოვოს» «კოლობოკის» კითხვაზე მუდამ იღიმება, მაგრამ ვოდოვოზოვის «Вода и земля»-ზე კი ღიმილის დრო არა აქვს, დინჯად ჰკითხულობს, დაკვირვებულია და დიდი ზარაქალა, თუ ორსამ ჯერზე გაათავა წერილი. აქ ენაც ძნელია და ენაში გამოხვეული საგანიც და რომელი წერილის საგანი სჯობს, ეგ მკითხველისათვის მიგვინდვია. «კოლობოკი» თუ ენით ადვილია, მისი საგანიც არაა მძიმე და დიდად სასარგებლო ტვინისათვის. კოლობოკს ბავშვი წაიკითხავს და დილას უკლისად ჩაგაბარებს, მაგრამ «კოლობოკების» მკითხველები აბა ალაპარაკე მიწა-წყალზე და ნახავ, როგორ დაებას ენა. სწორედ ამიტომ გვაკვირვებს ზოგიერთი პედაგოგების მიდრეკილება შაირთა და ლექსთა კრების გამოცემისადმი, რომელთაც უთუოდ ქრისტომატიების სახელით მონათვლენ. ზევითაც ვსთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ ენა სახვევი უნდა იყოს საგნებისა და სამეცნიერო მასალისა, და თუ ჯერ ეგ ჩვენი სახვევი კარგად არ ჰფერობს სამეცნიერო მასალას, ვინ არის დამნაშავე, ის, რომელიც ამ სახვევის მასალაზე მოწყობისათვის ცდილობს, თუ ის, რომელიც არცა რას სახვევზე ზრუნავს და არცა რას მასალაზე და ყველაფერს ურჩევნია ორიოდე ორბელიანის, ჭავჭავაძის, აკაკის და რაფიელის ლექსები წაიკითხოს. ახირებულ «პედაგოგიურ მოსაზრებათა» ავტორისაგან დაწუნებული «სირაქლემის» ენა უფრო ბევრს გააკეთებს ჩვენს სკოლაში, ვიდრე ალ-

გაუძღვა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდეს, თუ რომ იგინი დადგენილს წესებს აკმაყოფილებენ.

უცოლობის შედეგი. ამ საგნის შესახებ ზნეობის და პოლიტიკურის პარიჟის აკადემიაში შეტანილი იქმნა წინადადება. ამ წინადადების ავტორს, გუსტავ ლასალს საფრანგეთში შეკრებილი სტატისტიკურის ცნობების ძალით, შემდეგი დასკვნანი გამოჰყავს უცოლობის შედეგის შესახებ. ოც-და-ათი წლიდამ დაწყობილი უცოლონი უფრო ბევრნი იხოცებიან, სანამ ცოლიანები. თავსაც უფრო შირად უცოლოები იკლამენ, სანამ ცოლიანები და განსაკუთრებით უფრო ჯერ გაუპატიურებულნი და მერე თავ დანებებული ქალები. ჭკუაზედ შეშლაც უცოლოებში უფრო ხშირია.

მოჭრილი ცხვირი. ერთი ბერლინელი გაზეთი გვიამბობს შემდეგს ამბავს: ბერლინში ერთს სტუდენტს დუელში მოწინააღმდეგემ ხანჯლით ცხვირი შიგ შირში მოაგდებინა; რადგანაც მოჭრილი ცხვირი შორს გადავარდნილიყო, იქ მყოფს სტუდენტებს დაეწყოთ მოჭრილი ცხვირის ძებნა და რამდენიმე ხნის შემდეგ ბალახეში ეპოვნათ. ზოგი სტუდენტები კიდევ დაჭრილს სისხლსა სწმენდნენ და ჭრილობას უხვევდნენ; თვითონ სტუდენტებს ვერ გაებედნათ ცხვირის მიკერება, რის-გამოც დაჭრილს თავის ცხვირი სამი საათი ხელით ეჭირა, სანამ იგი პროფესორ ბერგმანთან მივიდოდა, რომელმაც თავის ხელით მიაკერა ცხვირი და რამდენსამე დღეს თვალ-ყურს ადევნებდა ოპერაციის შედეგს. შედეგი კარგი გამოვიდა: ცხვირი გაუმთელდა და, იმედია, პატრონი და ცხვირი ერთი-ერთმანეთს არას დროს აღარ გაშორდებიან.

ჩიტები და ხოლერა. ამტკიცებენ, რომ როდესაც 1884 წელს მარსელში ხოლერა გაიხსნა, მერცხლები მაშინვე გაშორდნენ ამ ქალაქს; წლეულსაც აღარ დაბრუნებულან იქა; ამასვე ამბობენ სხვა ჩიტების შესახებაც. ასეთივე შემთხვევა მოხდა ქაირში და ეგვიპტის სხვა ქალაქებში, როდესაც იქ ხოლერა მძვინვარებდა.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

ივნისის 28-ს.

ბრიუსელი. დატუსაღებულ ანარქისტთა შორის ერთი რუსია, ერთი ნემეცი, დანარჩენნი ფრანცუზები და ბელგიელნი.

ბელგრადი. ოფიციოზური გაზეთი «ვიდელო» კამათობს რუსულს გაზეთებთან და ამბობს, რომ სერბიის აწინდელი პოლიტიკა შედეგია იმ დამოკიდებულებისა, რომელიც რუსეთისა და სერბიის შორის გაჩნდა უკანასკნელ ორის ომიანობის შემდეგ.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ რუსეთთან ეხლანდელ მოლაპარაკებათა გამო, სასურველი არაა ლუმსდენის მიწერ-მოწერა გამოცხადებულ იქმნას.—ხაზინის კანცლერმა აცნობა პალატას, რომ სამხედრო მზადებისათვის გადადებულის 11 მილიონიდამ 9,550,000 დაიხარჯა კიდეც; კანცლერი მიიღებს თვის წინა მოადგილეს ხარჯთა აღრიცხვას და ახალი გადასახადის დადებას საჭიროდ არ რაცხს; დეფიციტის გასანაღდებლად-კი, რომელიც 3,870,000 გირვ. სტერლ. შეადგენს, წინადადებას იძლევა გამოცემულ იქნეს ხაზინის ბილეთები. ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა პალატისაგან პირველს წაკითხვისვე შემდეგ.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება კავკავის სავიკარიოს ეპარქიად გადაკეთებისა, რომელსაც მიეწერება თერგის მაზრა და ჩრდილოეთ ოსეთი.

პარიჟი. გენ. კურსიმ წინადადება მისცა გიუეს მოქალაქეთ და გაჭრით დაექვემდებარონ ფრანცუზებს, ათი დღის ვადა დაუნიშნა მოჯანყეთ დამშვიდებისათვის და მოითხოვა, რომ ანამიტების ჯარი 21 დღეში გაშვებულ იქმნეს და მთელი იარაღი უნდა ჩააბარონ გიუეს პროვინციის გუბერნატორებმა.

ხმებია, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს გაქცეულის ანამის მეფის ნაცვლად, ამის ტახტი ახალს მეფეს ჩააბაროს ძველის მეფისვე დინასტიის ჩამომავალს.

ივნისის 29

პარიჟი. მომავალ პარლამენტის ამორჩევების გამო რესპუბლიკურ დასებმა გამოაცხადეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამა; ისინი თხოულობენ: სამსახურის ვადის შემოკლებას, ეკონომიურ ცვლილებათა მოხდენას, გადასახადის წესის შეცვლას, ბიუჯეტში თანასწორობის აღდგენას, სინოდის თავისუფლების პატივის-ცემას, და ისეთის ზომების მიღებასაც, რომ სასულიერო წოდებას ამიერიდამ არ შეეძლოს რამე ვნება მისცეს რესპუბლიკას; გარეშე პოლიტიკის შესახებ, რესპუბლიკელნი თხოულობენ თავდაჭერილს მოქმედებას და საფრანგეთის ღირსების დაცვას.

ლონდონი. «Daily News»-ის სიტყვით ბრიტანიის მთავრობას განზრახვა აქვს, ავღანის ემირის თანხმობით, ინგლისის ჯარებით დაიჭიროს ყანდაარი ან ამის მახლობელი ადგილები.

ქაირი. სუდანიდამ მოსული ვაჭრები და გამოქცეული ტყვენი ამტკიცებენ, რომ მაჰდი მოკვდა და ამის შემდეგ მეომრთა შორის განხეთქილება ასტყდა.

ივნისის 30

სიმლა. ინდოეთის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ ინგლისისა და რუსეთის შორის მოლაპარაკება საკეთილოდ ბოლოვდება.

ივლისის 1-ს.

პეტერბურგი. ივლისის 1-ს გათამაშებულს ტირაჟში უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგს ბილეთებს 1-ის შინაგანის სესხისას.

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა | ჯამი მოგებისა. |
|---|---|---|
| 16,738 | 8 | 200,000 |
| 9,168 | 49 | 75,000 |
| 16,356 | 3 | 40,000 |
| 16,345 | 33 | 25,000 |
| 8,793 | 28 | 10,000 |
| 11,158 | 15 | 10,000 |
| 11,755 | 36 | 10,000 |
| 17,914 | 1 | 8,000 |
| 10,573 | 18 | 8,000 |
| 9,449 | 15 | 8,000 |
| 19,183 | 34 | 8,000 |
| 10,711 | 38 | 8,000 |
| 1,910 | 14 | 5,000 |
| 11,249 | 21 | 5,000 |
| 16,827 | 38 | 5,000 |
| 531 | 44 | 5,000 |
| 14,898 | 35 | 5,000 |
| 8,248 | 19 | 5,000 |
| 2628 | 42 | 5,000 |
| 3,529 | 31 | 1,000 |
| 11,436 | 28 | 1,000 |
| 16,799 | 43 | 1,000 |
| 18,731 | 5 | 1,000 |
| 4,611 | 18 | 1,000 |

მამურინავი პოეტური ფრაზები. ამაზე მეტს არას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცნიერებას სხვა ენა აქვს, თუმცა-ღა სასურველია, რომ იგი ისე გაიშლებოდეს ქაღალდზე და აჰყვებოდეს კალამს, როგორც ფისრამიანის შინაარსი.. რუსულის სწავლება გაგვიძნელა იმ გარემოებამ, რომ თვალ-საჩინო ელემენტი კიდევ ვერ შევიტანეთ ამ ენის სწავლებაში უსაშუალობის გამო: სურათებიც გვაკლია ჯერ, მოდელებიც და სხვა მორთულებანიც. გაგვიძნელდა მეთქი, რომ ვამბობ, ეგ იმასა ნიშნავს, რომ სანატრელია, უკედ მიდიოდეს რუსული ენა ქართველთათვის და არა ისე, როგორც ახლანდელს მმართებლობის და კერძო სასწავლებელში ისწავლებოდა იგი დოგმატიურად, და ყოველს თვალ საჩინობას მოკლებულია.

რუსულშიაც და არითმეტიკაშიაც წერილობითი ეგზემენი გვქონდა. რუსულში ზოგიერთი თანდებულის ხმარებას, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის სახელთა და ზმნათა განმაპიროვნებულს დაბოლოვებასა ჰქონდა მიქცეული ყურადღება კარნახზე. საკარნახო მასალა ამ გვარადვე იყო შედგენილი, როგორც ქართულისა. ამაშიაც კმაყოფილი დავრჩით მოსწავლეებისა. არითმეტიკის გამოცანებს ზეპირად აკეთებდენ ყმაწვილები, თუმცა წლის განმავლობაში ყოველ გაკვეთილზე, როცა გამოცანის გაკვეთილი იყო, თითოს ჩაიწერდენ თავიანთ რვეულებში ქართულად და სახლში ციფრებზე გამოიანგარიშებდენ ხოლმე. წლის ნამუშევარი საეგზამენოდ თეთრად გადასწერეს ეგზემენაზე და გამოჰქონდათ ასისტენტთა საჩვენებლად. 80-დის მივაღწიეთ, მაგრამ ათიოდე ყმაწვილი ძლიერ სუსტი აღმოჩნდა, რადგანაც ამათ პირველი წლის მასალა არა ჰქონდათ შეთვისებული იმ მეთოდით, რომელზედაც ჩვენ ვაწყობდით ხსენებული საგნის მასალას. საღმრთო სჯულიდამ ძველი აღთქმა მოასწრეს, მოკლე ლოცვები და ათი მცნება. ახალი აღთქმა მესამე განყოფილებისათვის გვაქვს გადადებული.

ამ გვარად 1 განყოფილების ორმოცდა-ორი ყმაწვილიდგან 35-ტი გადვიდა მესამეში,—7 დარჩა იმავე განყოფილებაში; 2 განყოფილების 39-იდგან მხოლოდ სამი დარჩა და და დანარჩენი მესამეში გადვიდა. ამათგან ზოგიერთებს წინადადება მიეცათ, რომ თუ ისინი რიგიანად მოემზადებიან და ეგზემენებს დაიჭერენ, პირ-და-პირ მეოთხეში იქმნებიან მიღებულნი.

მომავალი წლისათვის ოთხი განყოფილება იქმნება, სამი აქავე კეთდება და მეოთხეც ქუთაისიდამ გარდმოაქვთ. უსახლობა აჭირებს საქმეს, მაგრამ რაკი ქუთაისის საბანკო კრებამ 600 მანათი გადუწყვიტა ამ სკოლას სახლის ქირად, ამშენებლებიც აღმოჩნდენ და დღე-დღეზე მიჰყვენ ხელი სახლის შენებას. მხოლოდ ცოტათი სამეგრელოს თავადის მოურავმა დაგვაბრკოლა ცოტათი, რადგან დროზე მიწა ვერ ჩაგვაბარა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. მომავალ წელში ვაკანსიები აღარ იქმნება მაზრობით, რადგანაც ეს სკოლა მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთათვის გამოაცხადეს. პირველს განყოფილებაში წლოვანებას ექმნება მიქცეული ყურადღება და შემდეგს განყოფილებებში ეგზემენებს; თუ ეგ ორი პირობა დააკმაყოფილა მოსწავლემ წესისამებრ, ყველანი მიღებულნი იქმნებიან ბალლების და წლოვანების მიხედვით ვინც უნდა იყოს, მეგრელი თუ გურული, რაჭველი თუ ლეჩხუმელი. რაც შეეხება სწავლის ხასიათს თუ მომავალ წელში ვერ მოვახერხეთ უსაშუალობის გამო აგრონომის პრაქტიკული ელემენტის შეტანა სასწავლებელში, სამერმისოდ მაინც უთუოდ უნდა შევუდგეთ მის განხორციელებას, როცა ადგილობრივი თავად-აზნაურობა გაწერილი ფულის მოგროვებას დაასრულებს და კაპიტალურ სახლს აიშენებს.

სკოლის ინსპექტორი

სამსონ ყიფიანი.

| | | |
|---|---|---|
| 717 | 1 | 1,000 |
| 3,130 | 14 | 1,000 |
| 11,991 | 23 | 1,000 |
| 7,179 | 31 | 1,000 |
| 1,206 | 47 | 1,000 |
| 3,539 | 14 | 1,000 |
| 8,812 | 14 | 1,000 |
| 8,213 | 45 | 1,000 |
| 13,896 | 40 | 1,000 |
| 7,133 | 19 | 1,000 |
| 18,007 | 11 | 1,000 |
| 3,315 | 22 | 1,000 |
| 8,818 | 42 | 1,000 |
| 6,652 | 18 | 1,000 |
| 3,086 | 10 | 1,000 |
| 9,387 | 38 | 1,000 |

## ბირჟა

### პეტერბურგა ივნისის 30.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | 24/³₃₂ 24⁹/₃₂ 24¹/₉ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | 205 206 205¹/₄ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | 253³/₄ 254¹/₂ 254 |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 19 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 19 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 30 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 5³/₄ და 6³/₄% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 97¹/₂ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97¹/₄ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 97¹/₄ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — — | 95¹/₄ მ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | 94 მ. 87 კ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | 94 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 225¹/₄ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 214³/₄ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 170¹/₄ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. 88³/₄ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 2¹/₂ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4¹/₂ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | 2¹/₂ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4¹/₂ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3¹/₂ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 8 კ. |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.


# განცხადებანი

### კახელ მემამულეთა

თ. ა. ი. ჯანდიერის და ამხ.

**ღვინის სარდაფში**

ისყიდება კარგად შენახული ნამდვილი ღვინოები კახეთის საუკეთესო ზვრებისა; ამასთან თეთრი და წითელი ღვინო სოფ. ვაჩნაძიანისა—თ. თ. ჯანდიერებისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, № 2.

(10—3)

სამკურნალო სამმართველოსგან ნება-დართული




ალვის ხე ანუ

## ალვის ხის ბალზამი

მ. მ. პეტროვისა.

**პირისახისათვის. № 1.** გაუმჯობესებული საშუალება, რომელიც აქრობს ფერიმჭამელას, წითელს ლაქას, გაროუქლვას, ლუდუდებს; ამ საშუალების მხმარებელს პირისახე უსუფთავდება და ლამაზ ფერს იჭერს.

**თავისათვის. № 2.** ნამდვილად ასუფთავებს თავის კანს ქერტლისაგან, აგრილებს თავს, სპობს თავის ტკივილს, ამისათვის თმა აღარ ჩამოუვა. რადგანაც ამ წამალს ყალბსაც ეკეთებენ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ნიშანს (მ. მ. პეტროვი.)

ფასი ფლაკონისა **1** მ. **25** კაპ. და ¹/₂ ფლაკონი **75** კაპ,

**უმთავრესი საწყობი:** აფთიაქებშია და მოსკოვის-სააფთიაქო ყველა მაღაზიებში.

**იყიდება** რუსეთის და ხამზღვარ გარეთელ აფთიაქებში და ყველა სააფთიაქო და სხვა მაღაზიებში.

ვინც ბლომად იყიდის მას % დაეთმობა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უმთავრეს საწყობში:

მოსკოვი, ნაიტის აფთიაქი პეტროვისა, წინად კელლერისა. ფოსტით 3 მ. და 50 კაპ. ორს ფლაკონზედ ნაკლები არ გაიგზავნება.

Ц. 14120 (10—3)

Присяжн. повѣренный А. С. Френкель перешелъ на другую квартиру: въ Сололаки, по Нагорной улицѣ, въ д Мерабова.

Туда-же переведены редакція и администрація журнала «Юридическое Обозрѣніе».

### ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА
### НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

**издаваемый въ г. Тифлисѣ.**

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, **НА ПОЛЪ ГОДА 6 р. Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.**

Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе—по 10 р. за каждый годъ. Для г.г. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6).

Иногородн. подп. «Юрид. Обоз.» имѣютъ право на полученіе чрезъ редакцію свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ тѣкстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица. д. Мерабова, также въ Москвѣ и С.-Петербургѣ—въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

(5—1)

წარმოგიდგენთ ჩვენს ქარხანას.

# იგი:

მართავს ყოველ გვარისა და ზომის ქარხნებს

ხელ-ახლად მართავს და დაშლის ყოველ გამართულს ქარხანას, ანა და რომელიმე ნაწილს ქარხნისას

ამუშავებს გაუქმებულ მაშინებს და მართავს ახალს უფრო მოსახდენი სისტემის ფაბრიკებს.

ამზადებს შემოსავალ-გასავლის პროექტებს უმთავრესისა და რთულის გეგმებით.

აკეთებს მაშინებს, ორთქლის ქვაბებს, აპარატებს

და რაციონალურ მოწყობილობას და შესანიშნავის სისტემის ყოველ-გვარ მორთულობას..

იძლევა რჩევებს ყოველ-გვარ ტეხნიკურს საგნებზე.

**ადრესი: დომბროვსკი,** სამაშინო ქარხანა, დომბროვში, პეტროკოვსკის გუბ. ვარშ.—ვენის და ივანგ. დომბროვ. რკ. გზ. სტანცია.

(3—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 1 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.